საქართველოს მთავრობის

დადგენილება №206

2024 წლის 24 ივნისი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – თბილისის ეროვნული პარკის, გარდაბნის აღკვეთილისა და ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტისა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – თბილისის ეროვნული პარკის, გარდაბნის აღკვეთილისა და ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმა“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტექნიკური რეგლამენტის – თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №216 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**